საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/73

19 ივნისი, 2023 წელი ქ. ბათუმი

„ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 14 აპრილის №01-10/39 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** ბსუ-ს ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ივლისის №01-02/101 ბრძანების,** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თემურ ავალიანის 2023 წლის 15 ივნისის №699124 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 14 აპრილის №01-10/39 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის (ტრენერის - სწავლების/საკონტაქტო 66 სთ; დამხმარე პერსონალი/ასისტენტები - სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის/ნაშრომების გასწორებისათვის/სერტიფიკატების მომზადება-გაცემა-აღრიცხვისათვის) შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს პროგრამის **განხორციელების დაწყებამდე** განსაზღვრული პროგრამის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული <u>პირველადი ხარჯთაღრიცხვის,</u> <u>მსმენელთა</u>

რაოდენობის, სწავლების ფორმატის **და განხორციელების ადგილის** (ქალაქ ბათუმში ან ქალაქგარეთ) **გათვალისწინებით.** ტრენინგების ქალაქგარეთ (დამკვეთის ტერიტორიაზე) ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია ტრენერის შრომის ანაზღაურება იყოს უფრო მეტი, ვიდრე განსაზღვრულია 25 მსმენელზე გაანგარიშებული პირველადი ხარჯთაღრიცხვით.";

ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით პროგრამაზე 25 მსმენელზე ნაკლები მსმენელის (პირისპირ სწავლების ფორმატი) და 20 მსმენელზე ნაკლები მსმენელის (ონლაინ სწავლების ფორმატი) ჩარიცხვის შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და პროგრამის ხარჯთაღრიცხვა განისაზღვროს პროგრამის **განხორცილების დაწყებამდე, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის სტრუქტურის შესაბამისად.**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი *მ. დიასამიძე*